# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ (07-1/115, 27.07.2009) და „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ (07-1/117, 27.07.2009) საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტები.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და $2^1$ პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 19 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**ხათუნა გოგორიშვილი** – საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე

**აკაკი მინაშვილი** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

**აკაკი ბობოხიძე** – საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე

**გია თორთლაძე** – ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე

**რამაზ თედორაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**რომან მარსაგიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ჯონდო ბაღათურია** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**პეტრე მამრაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

**ირაკლი ბურდული** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

**გიორგი კვერენჩხილაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებუ-ლი პროფესორი

**ვასილ გონაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**ქეთევან ქოქრაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**მარინა გარიშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**ნანა ჭიღლაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**კახი ყურაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**გიორგი კახიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

**სოსო ცინცაძე** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე დ. ბაქრაძე**

**თბილისი,**
**2009 წლის 31 ივლისი.**
**№1580–რს**